ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6647812

ნომერი: AR1987877

თარიღი : 05.09.2023

გაცემის თარიღი : 11.09.2023

გაცნობის თარიღი : 12.09.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი, ხატაეთის ქუჩა N27 ; ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , დიდი დიღმის ტერიტორია ; ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , "დიდი დიღომის ტერიტორია";

დამკვეთი-განმცხადებელი

- საბა ფავლენიშვილი პ/ნ 01020007386
- თბილისი, კ.ქუთათელაძის 19

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სოფელი დიღომი, ხატაეთის ქუჩა №27, სოფელი დიღომი, დიდი დიღმის ტერიტორია, სოფელი დიღომი, დიდი დიღმის ტერიტორია, შპს "ბიზნეს ჰაუსი"-ს კუთვნილი შენობის ფასადზე სარეკლამო აბრების მოწყობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს და გაცნობებთ, რომ სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ფართის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან №892021084806 20.12.2021წ. საკადასტრო კოდი №01.72.14.035.961, ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ეთანხმება ქ. თბილისში, სოფელი დიღომი, ხატაეთის ქუჩა №27, სოფელი დიღომი, დიდი დიღმის ტერიტორია, სოფელი დიღომი, დიდი დიღმის ტერიტორია, შპს "ბიზნეს ჰაუსი"-ს კუთვნილი შენობის ფასადზე სარეკლამო აბრების მოწყობის შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან) 1 წელი.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.